საუბარში მონაწილეობდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კან სეკ ჩუ, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში კეონ ბი გენი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ნერეტელი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მ. ს. კაპიცა, სსრ კავშირის ელჩი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ნ. მ. შუბნიკოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე პ. პ. ჩხეიძე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. ფ. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ზ. ბ. ახალლიანი, სხვა ოფიციალური პირნი.

• • •

**იმავე** დღეს საქართველოს სსრ მთავრობამ კიმ ჰონ ნამს გაუმართა სადილი, რომელზეც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დ. ლ. ქართველიშვილმა და კიმ ჰონ ნამმა წარმოთქვეს სადღეგრძელებები.

სადილზე იყვნენ ამხანაგები ე. ე. ჩერქეზი, ვ. ს. კაპიცა, ნ. მ. შუბნიკოვი, სხვა ოფიციალური პირნი. (საქინფორმი).

# ეკონომიკური იმპერიალიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ

### გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური კომიტეტის სესია

**ნიუ-იორკი.** სახელმწიფოთა ეკონომიკური უფლება-მოვალეობების ქარტიის დიდი მნიშვნელობა, სამართლიანი და თანასწორუფლებიანი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის დამყარების, ყველა ქვეყნის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის ყოველმხრივი განვითარების აუცილებლობა დაადასტურა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმ სპეციალური კომიტეტის აქ დამთავრებულმა სესიამ, რომელსაც ევალება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამ საპროგრამო დოკუმენტის განხორციელებას მიმოხილვა.

სესიამ თვალნათლივ ცხადყო, რომ ერთმანეთისაგან დიამეტრულად განსხვავებული პოზიციები და ინტერესები აქვთ დასავლეთის წამყვან ქვეყნებს ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით, რომლებიც ეკონომიკური იმპერიალიზმის პოლიტიკას ახორციელებენ, და ამ პოლიტიკის მსხვერპლად ქცეულ განვითარებად სახელმწიფოებს. მან გამოხატა მზარდი შეშფოთება იმის გამო, რომ განვითარებადი კაპიტალისტური ქვეყნების უმრავლესობა უფლებამოსილი ქარტიის პრინციპებსა და დებულებებს, აბრკოლებს მათს რეალიზაციას.

დასავლეთის ქვეყნებმა ჩაშალეს სესიის საბოლოო დოკუმენტის შესახებ კონსენსუსის მიღწევა, რომლის პროექტიც წარმოაყენა „77-თა ჯგუფმა“, მასში ნათქვამია, რომ არსებული საერთაშორისო ეკონომიკური სისტემა არ შეესაბამება მსოფლიო ეკონომიკის სტაბილურობისა და ყოარი ზრდის მიღწევის ქარტიით გათვალისწინებულ მიზანს. დოკუმენტში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური ურთიერთობის დამყარების, ყველა ქვეყნის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის ყოველმხრივი განვითარების საკუთარ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემას, აგრეთვე დგამობილია პოლიტიკური, ეკონომიკური და მორალური მხარდაჭერა, რომელსაც მთელი რიგი სახელმწიფოები უწევენ რასისტულ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და ისრაელს. ამ დოკუმენტის წინააღმდეგ დასავლეთის სახელმწიფოთა გამოსვლებმა დამაჯერებლად ცხადყო, რომ მათი მიზნია განაგრძონ დიქტატისა და ძალისმიერი ზეგავლენის პოლიტიკა საერთაშორისო ეკონომიკურ საქმეებში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სოციალისტური ქვეყნების ჯგუფის სახელით განცხადება გააკეთა მისმა თავმჯდომარემ, ბელორუსიის სსრ რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ა. ნ. შელოვიმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სოციალისტური ქვეყნები საჯაროდ დასასტურებენ სახელმწიფოთა ეკონომიკური უფლება-მოვალეობების ქარტიას როგორც ფუძემდებელ დოკუმენტს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის გარდაქმნისა და ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესის დამყარების საქმეში. განცხადებაში დაგმობილია მისი ისეთი საკვანძო დებულებების უხეში დარღვევები, როგორიც არის სანინამო საქმეებში ჩაურევლობა, ხალხების მშვიდობიანი თანაარსებობა, თანასწორობა და თვითგამორკვევა ,საყოველთაო და სრული განიარაღებისადმი ხელშეწყობა, სახელმწიფოთა უფლება ახორციელებდნენ თავიანთი ბუნებრივი რესურსების გამოყენების და ეკონომიკური საქმიანობის სრულ სუვერენიტეტს. სოციალისტურმა სახელმწიფოებმა ყველა ქვეყანას მოუწოდეს გამოიინონონ პოლიტიკური ნება, რათა დაძლიონ დაბრკოლებანი ქარტიისა და ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესის კონკრეტულ საკითხებზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა გადაწყვეტილებათა რეალიზაციის გზაზე.

### ამერიკელ პოლიტიკოსთა ინიციატივა

## პორტუგალია მოითხოვენ ხელშეკრულების გაუქმებას

**ლისაბონი.** აზორის კუნძულების პროფკავშირებმა მოთხოვეს პორტუგალიის პარლამენტს უარი თქვას ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ბაზა ლაჯეშში პორტუგალიელი მუშების ექსპლოატაციის ახალი შრომითი ხელშეკრულების პროექტის დამტკიცებაზე. როგორც ამ განეცხადეს ჟურნალისტებს არქიპელაგის მუშათა ლიდეგაციის წევრებმა, ახალი გარიგება ამერიკის შეერთებული შტატების მხედრიონთან ფაქტობრივად ზღუდავს პორტუგალიის სუვერენიტეტს ეროვნული ტერიტორიისადმი, რომელიც ამერიკელ ბაზას უკავია. ეს დოკუმენტი, აღნიშნეს მათ, ეწინააღმდეგება პორტუგალიის კონსტიტუციას, რადგან იგი ქვეყნის მცხოვრებთა ძირითადი უფლებების უხეში შებღალვის შესაძლებლობას ითვალისწინებს.

### ავღანეთი

## განაჩენი ბანდის მეთაურს

**ქაბული.** ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის სპეციალური რევოლუციური სასამართლოს გამსჯელმა ხესიამ ღია სხდომაზე, რომელიც ნანგარჰარის პროვინციაში გაიმართა, სიკვდილი მიუსაჯა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის — ავღანეთის ისლამური პარტიის დაშმანთა ბანდის მეთაურს ისმაფდინს. ბაჰთარის სააგენტოს ცნობით, იგი დამნაშავედ ცნეს პროვინციის შვიდობიან მცხოვრებთა წინააღმდეგ მრავალრიცხოვანი ტერორისტული აქტების ჩადენაში, ძარცვაში და ავღანელი ხალხის წინააღმდეგ სხვა დანაშაულობებში.

### ირაკლი თოიძე

ირაკლი თოიძის ფურცლები ცენტრში მუდამ იდგა საბჭოთა ადამიანი, რომლის მხატვრული სახის შექმნას მან მიუძღვნა ფერწერული ტილოები, ჩანახატები.

დიდი მხატვრის წვლილი ქართული ეროვნის ლეგენდის განვითარებაში. მისი ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწარმოებია შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოს ნ ი“ 1937 წლის საიუბილეო გამოცემისთვის შესრულებული ნახატების სერია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. თოიძის ღვაწლი საბჭოთა პლაკატის განვითარებაში. თ ვ ი ს პლაკატებში მხატვარი გამოსახავს საშუალებებს პარტიულ, პოლიტიკურ შინაარსს უმორჩილებდა.

დიდი სამამულო ომის პირველსავე დღეებში მოსკოვში გამოვიდა და შემდგომ ჩვენს ქვეყანაში უდიდესი პოპულარობა მოიპოვა ი. თოიძის უალრესად მეტყველად და ლაკონიურად გადაწყვეტილმა პლაკატმა „დედასამშობლო გიგიხმობს!“. მხატვრის მიერ შექმნილმა პათეტიკური ძალით აღსავსე საბჭოთა ქალის — დედის სახემ ფაშიონ განზოგადოების სიმბოლური მნიშვნელობა მიიღო და ახლობელი, დაუვიწყარი გახდა საბჭოთა ადამიანისათვის.

მხატვრის ღვაწლი ღირსეულად დაფასა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ. მას ოთხგზის მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია, დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით. ი. თოიძე არჩეული იყო თბილისის საკაბინო მოკალაკედ.

თვალსაჩინო ხელოვნის ირაკლი თოიძის სახელი მუდამ დარჩება საბჭოთა ხალხის ხსოვნაში.

ე. ა. შევარდნაძე, ბ. ა. ანდრონიკაშვილი, ვ. ვ. არხიპოვი, ბ. დ. ბაბუნია, ა. ბ. ბილაშვილი, ბ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, ბ. ვ. ნიკოლაკი, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ფითანაშვ, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ალლეიბა, თ. ი. მოსაშვილი ვ. რ. კაკაშნიძე, ფ. ს. სანაკოევი, ძ. ა. შარიბაშა, ნ. შ. ჯაბ-ბერიძე, თ. ბ. ბაფლრაშვილი, ვ. ბ. ლოგოვინაშვილი, ე. დ. ამაფუაკელი, ვ. ი. ბერძენიშვილი, უ. ვ. ჯაფარიძე, ზ. ა. ფარიშელი, ზ. ა. ნიფარაძე, ხ. ი. კაკაბაძე, ა. ვ. ფერაბიშვილი.

## ბოლონეთის დელეგაცია საქართველოში

**19 აპრილს** თბილისში ჩამოვიდა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მთავარი გამგის დელეგაცია პოლონეთის. ფერიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ჰენრიკ ბეჟნარსკის მეთაურობით.

თბილისის აეროპორტში სტუმრებს გულთბილად დახვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. ენუქიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ვ. ლაშარაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე პ. პ. ჩხეიძე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრ ბ. ფ. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ზ. ბ. ახალლიანი, სხვა ოფიციალური პირნი.

ამავე დღეს თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსულ დრამატულ თეატრში გაიმართა თბილისის საზოგადოებრიობის საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების 40 წლისთავს.

კრება გახსნა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღასლიანის თავმჯდომარემ ზ. შ. ბესხიშვილმა.

შესაბამისად პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის თ. ვ. ლაშარაშვილის მოხსენებაში აღინიშნა, რომ 40 წლის წინათ დადებული ხელშეკრულება საფუძველად დაედო ამჟამად არსებულ ძმურ მეგობრობას, მეჯდრო თანამშრომლობას და ურთიერთდახმარებას სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ცხოვრების ყველა დარგში. ჩვენი ხალხების ურღვევი ძმობა შედეგობეულია ჰიტლერული ფაშიზმის —იმ საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთად დაღვრილი სისხლით, რომელზე გამარჯვების 40 წლისთავსაც მალე აღნიშნავს მთელი პროგრესული კაცობრობა.

ჩვენი ხალხებმა ერთმანეთს ურთიერთმოკმედების ახალი გამოვლინება გახდა სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის 2000 წლამდე პერიოდის გრძელვადიანი პროგრამა, რომელიც ხელი მოაწერეს გასული წლის მაისში.

უკანასკნელ ათწლეულებში მნიშვნელოვანად გაფართოვდა საბჭოთა საქართველოსა და სახალხო პოლონეთის კონტაქტები. პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მთავარი გამგეობის დელეგაციის ხელმძღვანელმა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჰენრიკ ბეჟნარსკიმ საქართველოს მშრომელებს გადამსცა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ვოიციხ იარუზელსკის, მთელი პოლონელი ხალხის მეგობრული სალამი, უსურვა მათ ბედნიერება და წარმატება მშვიდობიან, აღმშენებლობითს ცხოვრებაში.

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მთავარი გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ, გაერთიანებულ ფერიანებულ ფერიანებულ ფერ

# ნიჭიერი მხედართმთავარი

**დიდი** სამამულო ომისა და მისი წინა პერიოდის სახელოვან ქართველ მხედართმთავრებს შორის გენერალ ნიკოლოზ თავართქილაძეს ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს. ამ მტაცეცე კომუნისტისა და ნიჭიერი მხედართმთავრის მთელი ცხოვრება სამშობლოსათვის, მშრომელი ხალხისათვის ერთგული სამსახურისა და თავდადების მაგალითია.

გამოჩენილმა გენერალმა პირველი საბრძოლო ნათლობა დასავლეთ უკრაინის ტერიტორიის გათავისუფლებასა და თეთრგვardიელებთან ომში მიიღო. ამ პერიოდში იგი დივიზიის შტაბის უფროსის მოადგილე, ხოლო შემდეგ შტაბის უფროსი იყო. დიდი სამამულო ომის დასაწყისშივ მას დასავლეთ უკრაინის საზღვარზე, ლუცკის ოლქში მოუსწრო. აქ მას სამხრეთ დასავლეთის ფრონტის მეექვსე არმიის 124-ე მსრეველელ დივიზიის შტაბის უფროსის თანამდებობა ეკავა.

ნიკოლოზ თავართქილაძის მდიდარი საბრძოლო ბიოგრაფიის მრავალი ფურცელი დამთბობი აქვს მისი ხელმძღვანელობით ჩატარებულ ბრწყინვალე ოპერაციებს, მაგრამ გვსურდება მწარე მარცხთა მაუწყებელი სტრიქონენიც. ისინი განეკუთვნებიან დიდი სამამულო ომის პირველ პერიოდს — 1941 წლის ივნისიდან 1942 წლის ოქტომბრამდე. ამ დროს წითელი არმია ძირითადად მოგვრიებითს, ბრძოლებს აწარმოებდა და, ცხადია, საბრძოლო ინიციატივაც მოწინააღმდეგის ხელი იყო. მაგრამ 1942 წლის ნოემბრიდან მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა და მთელმა მსოფლიომ ნათლად დაინახა, თუ რა შეეძლო საბჭოთა მხედართმთავრულ ნიჭსა და გენიას. ეს განსაკუთრებით გამოვლინდა სტალინგრადის ბრძოლებში.

ამ გრანდიოზულ ეპოპეაში მონაწილეობა მიიღო 76-ე, ხოლო შემდგომში 51-ე გვარდიელმა მსროლელმა დივიზიამ, რომელსაც ნიკოლოზ თავართქილაძე მეთაურობდა. სწორედ აქ გამოვლინდა ჩვენი სახელოვანი თანამემამულის ორგანიზატორული უნარი საკარისო ნაწილების მოქმედების სწორად წარმართვის უზრუნველსაყოფად და დადასტურდა, რომ იგი ბრწყინვალედ ერკვევა თანამედროვე ბრძოლების სტრატეგიასა და ტაქტიკაში. ამის შესახებ ბევრი კარგი სიტყვაა ნათქვამი მარშალ კონსტანტინე როკოსოვსკის წიგნში: „დიდი გამარჯვება ვოლგაზე“.

ეს მოხდა 1942 წლის დეკემბერში, როგორც ცნობილია, გერმანელთა დიდი დაჯგუფება ამ დროისათვის ჩვენმა ჯარებმა რკინის ალუაში მოაქციეს. მაგრამ ამავე ალუაში მოყვა საბჭოთა მოსახლეობის ის ნაწილიც, რომლის ეკავეკიცი თავის დროზე ვერ მოხერხდა. ჩვენი სარდლობა ამგარიშს უწევდა ასეთ მდგომარეობას და გამანადგურებელ საპარო თუ საარტილერიო დარტყმებს ერიდებოდა. ამავე მიზნით შესთავაზეს გერმანელთა დაჯგუფების მეთაურებს დანებებულიყვნენ, მაგრამ ფაშისტმა გენერალმა პაულიუსმა ეს წინადადება უარყო.

ამ დიდი ალყის მთავარი გასაღები იყო ხუთი ყორღანი, რომლებიც გერმანელებს ეკავთ და რომლებზეც მათი მთავარსარდლობა დიდ იმედებს ამყარებდა.

ფრონტის სარდლობამ დასვა საბრძოლო ამოცანა, რომლის შესაბამისად ხუთივე ყორღანი უნდა განთავისუფლებულიყო გერმანელებისაგან. დაიწყო მზადება დიალების განსახორციელებლად და ამ დროს გენერალ თავართქილაძის მზვერავებმა შეიტყვეს, რომ გერმანელებს ჩაფიქრებული აქვთ ჩვენი ჯარების შეტევის დროს წინ გამორეკონ საბჭოთა მოქალაქეები — ქალები, მოხუცები და ბავშვები. ეს გარემოება მდგომარეობას საგრძნობლად ართულებდა, მაგრამ გენერალმა თავართქილაძემ შეიმუშავა მოხერხებული გეგმა, რომელიც მოიწონა არმიის სარდლობამ და რომელმაც საშუალება მისცა საბჭოთა ჯარებს თავიდან აეცილებინათ უდანაშაულო მოსახლეობის სისხლისღვრა.

დილით ადრე ჩვენებმა განახორციელეს მოჩვენებითი შეტევა შუა ყორღანებზე, ამავე დროს დაიწყეს მტრის ზურგის პოზიციების მასირებული დაბომბვა, რამაც საბოლოოდ დაარწმუნა გერმანელები, რომ შეტევის მთავარი მიმართულება სწორედ შუა ყორღანებია. გერმანელებმა სასწრაფოდ შეაგროვეს საბჭოთა მოქალაქეები და განალაგეს ისინი შუა ყორღანებთან, რათა ჩვენი ნაწილების შეტევის დაწყებისას ისინი გამოეყენებინათ საფარად.

როგორც კი მტერმა დაასრულა ეს გაჯაჭვეფება, გენერალმა ნ. თავართქილაძემ მაშინვე უბრძანა მთელ შენაერთს სასწრაფოდ გადასულიყო შეტევაზე მარცხენა გვანპირა ყორღანის წინააღმდეგ და მისი შემოვლით. ასეთი მოიქცა გენერალი კ. ჯახუაც მარჯვენა ფლანგზე, ხოლო შუა სამი ყორღანის წინააღმდეგ განლაგებული ჩვენი ნაწილები ამ დროს უკვე სრულ სიმშვიდეს იჩენდნენ. გერმანელები გოგგებული დარჩნენ, ხოლო ჩვენი მებრძოლების შეტევა ნამდვილად შეუჩერებელი და გამანადგურებელი აღმოჩნდა. გერმანელებმა გოზზე მოსცა ეერე კი მოასწრეს, თუმცა მიხვდნენ, რომ შუა ყორღანების მიმართულებით შეტევა შეჩერდა. ოთხი საათის შეტევის შემდეგ ნ. თავართქილაძისა და კ. ჯახუას დივიზიები შეერთდნენ მტრის ზურგში და საერთო ძალებით განაგრძეს შეტევა. ამის შემდეგ საბჭოთა ჯარებმა განაახლეს შეტევა შუა ყორღანებზეც, თუმცა ძალზე ფრთხილად.

ხუთივე ყორღანი ალყაში მოექცა. რამდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა წინააღმდეგობა შეწყვიტეს და იარაღი დაყარეს.

ხუთიოდე დღის შემდეგ 51-ე გვარდიული დივიზია აღმოჩნდა შეტევის ხაზზე, რომელიც გადიოდა დასაბრუნებულ ბუნკერებზე ბოლშაია როსსოშკა, გინჩარა და ვოროპონოვო. აქ მოხდა ხუთდღიანი შეყოვნება — მტერი გადაფთრებით იცავდა თავს. სწორედ ამ დღეებში 21-ე არმიის სარდალ ნ. თავართქილაძეს დაავალა განეგზავნილიყო ფრონტის სარდლობის ჩანაფიქრის შესაბამისად, 51-ე გვარდიულ დივიზიას უნდა განეხორციელებინა სწრაფი დარტყმა მამაევის ყორღანის მიმართულებით, სადაც მის შესახვედრად წინ მიიწევდა 62-ე არმის მე-13 დივიზია, რომელსაც სახელგანთქმული გენერალი როდიმცევი მეთაურობდა. აღნიშნული ოპერაციით მტრის დაჯგუფება ორად გაიპობოდა, რაც კიდევ უფრო დაიჩქარებდა მის გარადგურებას.

გენერალმა ნ. თავართქილაძემ გამოყო ავანგარდი, რომელსაც ფრთხილად, ცეცხლსასროლი იარაღის გამოუყენებლად უნდა შეეღწია მტრის განლაგების სიღრმეში და გარიერაზე ზურგიდან დაეტაკა მისთვის. ეს დავალება ზუსტად შესრულდა. უფრო მეტიც, ავანგარდს მიაყვა დივიზიის ძირითადი შემადგენლობა და ულუ მალე, ღამის სიბნელეში ფრთხილად მიმავალი დივიზიის მოწინავე მზვერავები წაადწყდნენ ჩასაფრებულ მებრძოლებს.

— სდეგ! ვინა ხართ?

— ჩვენ გენერალ თავართქილაძის გვარდიელები ვართ! თქვენ ვინაო?

— ჩვენ გენერალ როდიმცევის გვარდიელები ვართ, იყო პასუხი. და იქუხა ომახიანმა „ეშმა“. ორი სახელოვანი დივიზიის ოფიცრები და ჯარისკაცები ეხვეოდნენ, კოცნიდნენ ერთმანეთს, მათ სიხარულს სახეკიარი არ ჰქონდა. ის ფაქტი, რომ ჩვენს სახელოვან თანამემამულეს ფრონტის შესაბამისად, 51-ე გვარდიულ დივიზიას უნდა განეხორციელებინა სწრაფი დარტყმა მამაევის ყორღანის მიმართულებით, სადაც მის შესახვედრად წინ მიიწევდა 62-ე არმის მე-13 დივიზია, რომელსაც სახელგანთქმული გენერალი როდიმცევი მეთაურობდა. აღნიშნული ოპერაციით მტრის ორად გაიპობოდა, რაც კიდევ უფრო დაიჩქარებდა მის გარადგურებას.

გენერალმა ნ. თავართქილაძემ ბრძანა: „ეს ბრძანება ერთ-ერთ ბატარეას ეკუთვნა 8 წლის ბიჭუნა. თურმე მას დედ-მამა დაჰკარგოდა და მარტოდმარტო დარჩენილიყო. ეს მოახსენეს დივიზიის მეთაურს, რომელმაც ბავშვი — ვალენტინ მილინი — სასწრაფოდ დივიზიის შტაბში მიაყვანინა და დაუფაფიზლივ აღმოურჩინა სამეფიცინო დახმარება და დაასვრა. ბავშვი დივიზიის შვილად გამოცხადდა, ხოლო მისი აღზრდა-პატრონობა პირადად გენერალმა იკისრა. ვალენტინ-ვალიკო მილინი ამჟამად ქ. ბელგოროდში ცხოვრობს და მადლიერების გრძნობით იხსენებს თავის მხსნელებს და ალმშრდელებს. მას კაშირი არ გაუწყვეტია 51-ე გვარდიული დივიზიის მებრძოლებთან და, რასაკვირველია, უწინარესად გენერალ ნ. თავართქილაძესთან.

ლენინური კომკავშირისა და კომუნისტური პარტიის აღზრდილი გენერალი ნიკოლოზ თავართქილაძე დღესაც ახალგაზრდულ შემართებით ემსახურება ლენინურ პარტიას, საბჭოთა ხალხს, სამშობლოს, დიდი გამოცდილებით ხელმძღვანელობს ომის ვეტერანთა საბჭოთა კომიტეტის თბილისის სექციის საქმიანობას, ახალგაზრდობის სახელოვან-ოიეროტენ და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდას.

**ი. ჯორჯაძე.**

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, გენერალ ლეიტენანტი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

## დიდი სამამულო ქრონიკები

**აი, რას წერდა გაზეთი „კომუნისტი“ 40 წლის წინათ**

**1945 წლის 17-20 აპრილი**

● **უკრაინის** მე-3 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, 15 აპრილს აფხაზური ტერიტორიაზე დაიკავეს ქალაქი სანქტ-პეტერნი — გზების დიდმნიშვნელოვანი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტი მდინარე ტრაიზენზე.

● **უკრაინის** მე-2 ფრონტის ჯარები, უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარების დახმარებით, გარს შემოერტყნენ და გაანადგურეს გერმანელთა ჯარების ჯგუფი, რომელიც ცდილობდა უკან დაეხია ვენიდან ჩრდილოეთით. ამასთან ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქები კორნიბურგი და ფლორიდსდორფი — გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტები დუნაის მარცხენა ნაპირზე.

● **გერმანელ** დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა გვარდიის უფროს სერჟანტს ამირან ოსიფოს ძე დანელიას.

● **მოსკოვიდან** გამგზავრებისას იუგოსლავიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მარშალმა ი. ბროზ-ტიტომ ვაგზალზე მიკროფონთან, სხვათა შორის, განაცხადა: ჩვენი აქ, მოსკოვში ყოფნა მოიტანს უდიდეს შედეგს, რასაც იუგოსლავიის მომავალ განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ექნება... მადლობას ვუძღვნი საბჭოთა მთავრობას მარშალ სტალინის მეთაურობით იმ დახმარებისათვის, რომელსაც იგი ჩვენ გვიწევს...

● **ვაშინგტონი,** 17 აპრილი (საკვანძო). პრეზიდენტმა ტრუმენმა პასუხი გასცა პრესის წარმომადგენელთა შეკითხვებს პირველ პრესკონფერენციაზე და განაცხადა: მე ბედნიერი ვიქნები, თუ მალე შევხვდები სტალინს, ჩერჩილს... ტრუმენმა დასძინა, რომ „იგი ბედნიერი იქნება, თუ დე გოლს შეხვდება და თუ დე გოლი იჩრუნებს შეხვედრის მოწყობისათვის...

● **მოსკოვი** სამშობლოს სახელით სალუტს აძლევს უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებს, რომლებმაც 17 აპრილს დაიკავეს ავსტრიის ნავთობიანი რაიონის ცენტრი—ქალაქი ცისტერსდორფი.

● **დიდი** მასშტაბის საბრძოლო ოპერაციებისადმი ხელმძღვანელობის დარგში უმაღლესი მთავარსარდლობის დავალებათა უნარიანი შესრულებისათვის, რომელთა შედეგად მოპოვებულია თვალსაჩინო წარმატებანი გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურების საქმეში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით „გამარჯვების“ ორდენით დაჯილდოებულ იქნა საბჭოთა კავშირის მარშალი ალექსანდრე მიხეილის ძე ვასილევსკი.

● **სოფლის** მეურნეობის პროდუქტთა დამზადების გეგმის წარმატებით შესრულებისა და საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის გორის რაიონს გადაეცეს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

● **ნიუ-იორკი,** 18 აპრილი (საკვანძო). როგორც იუნაიტედ პრესის საგაგზავნიოფუნება, ამერიკის მე-9 არმიის ნაწილებმა მაგდებურგში ხელი იგდეს გერმანიის რიახსბანკის ფილიალი, სადაც ინახებოდა 70 მილიონი დოლარის ვერცხლის რიხსმარკა.

● **კოპენგაგენი,** 18 აპრილი (საკვანძო). ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა თავის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლად დანიშნა ბრიგადის გენერალი ლუდვიგ სვობოდა.

# გამარჯვების სუნთქვა სცენაზე

**გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სპექტაკლების რესპუბლიკური დეკადა**

**მოსდიანარე** წლის თეატრალური ცხოვრება დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავისადმი მზადების ნიშნით არის წარმართული. რესპუბლიკის მუსიკალურმა, დრამატულმა და საბავშვო თეატრებმა თავიანთ რეპერტუარში შეიტანეს ნაწარმოებები, რომლებიც ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას ეხმიურებიან.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სპექტაკლი, რომელიც ამ თარიღს მიეძღვნა, არის გ. ყანწერის „...და არს მუსიკა“, რომელიც ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში დაიდგა რ. სტურუას. ნაწარმოები გამოირჩევა თანამედროვე მუსიკალური აზროვნების მიღწევებით, თემისადმი ორიგინალური დამოკიდებულებით.

თანამედროვე რეჟისურის თვალსაჩინო წარმომადგენელმა რობერტ სტურუამ, რომლის ყოველი ახალი ნამუშევარი დიდ ინტერესს იწვევს აზროვნების სიღრმით, გამომსახველობით, ხერხთა მრავალფეროვნებით, თეატრალურ-სანახაობითი მომენტის წარმოჩენით, კვლავ მიმართა ომის თემას, ამჯერად უკვე რუსთაველის სახელობის თეატრში, სადაც დადგა ბ. კვესელავას „ახ ერგასის დღის“ მიხედვით თ. გოდერძიშვილის მიერ შექმნილი ამავე სახელწოდების პიესა. სპექტაკლი, რომელიც ყურადღებას იპყრობს მასშტაბურობით, ფილოსოფიური განსჯითა და პუბლიცისტური სიმძაფრით, გამსჭვალულია, თეატრალური აზროვნების თავისუფალი სუნთქვით, სადაც პლასტიკა, მუსიკალური ფონი და ატმოიფერო ოსტატობა ემოჩრილება რეჟისორული კონცეფციის სცენურ განსახიერებას და რელიეფურად წარმოაჩენს ომისა და მშვიდობის ცხოვრებისეულ ანატომიას.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა მოუძღვნა სამამულო ომის თემას ო. იოსელიანის „**ადამიანი იბადება ერთხელ**“ თ. ჩხეიძისა და გ. თოდუას დადგმით, რომლის პრემიერა შარშან მოისკოვში გაიმართა მცირე თეატრის სცენაზე. სპექტაკლს დღემდე გაუწევლებელი ინტერესით უყურებს მაყურებელი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ომის პერიპეტიებთან დაკავშირებული ღრმა ადამიანური განცდები და სიცოცხლეზე გადარჩენისათვის ზრუნვა მარადიული თემაა ნებისმიერი საბჭოთა თეატრისთვის.

ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრმა მიმართა ახალგაზრდა დრამატურგს ა. დუდარევის „ბუსბეურეულ პიესას „**რეგითი ჯარისკაცები**“, დადგმა ეკუთვნის თეატრის მთავარ რეჟისორს გ. ყორდანიას. სპექტაკლში იმ უბრალო ადამიანთა ტრაგიკული ცხოვრებაა წარმოდგენილი, რომელნიც თავიანთი თავდადებით გვიჩვენებენ გამარჯვების დღეებს და, საბოლოოდ, სიცოცხლე, შესწირეს თავისუფლებას. ეს არის სპექტაკლ-ბალადა უსაზღვრო გმირეზზე, რომელშიც სუფეგს რომანტიკული განწყობილება, საშობლოს უსაზღვრო სიყვარული და თავგანწირვა.

სასიამოვნოა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ომის თემას მეტად საყურადღებო ნამუშევრები მოუძღვნეს თეატრის ახალგაზრდა რეჟისორებმა ა. ქანთარიამ და ლ. სვანაძემ. ა. ქანთარიამ თელავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში დრამატურგ თ. აბულაშვილთან ერთად შექმნა ორიგინალური პიესა „**სიცოცხლემისჯილი ტყვე**“. სპექტაკლი გამორიჩევა ახალგაზრდა შემოქმედთა დამოკიდებულებით ომისა და ძალმომრეობის მიმართ, წამალკავი სანთლების შეუფერებელი წარმოსახვით, პიროვნების დაფასებაზეა ჩვენების მთელი სიმკაცრით და ერთგვარი გაფრთხილებით, რომ ასეთი რამ არასოდეს არ უნდა განმეორდეს.

ჭიათურის სახელმწიფო თეატრშე ლ. სვანაძემ დადგა ვ. არონ „**უმაღლესი ზომა**“. ლენინგრადის ბლოკადის ძმიმე დღეები, ადამიანური სისუსტენი და გამძლეობა, სიკეთის გამოსხივებანი, მეგობრული სულისკვეთება უშუალო განწყობილებით არის მოცემული სპექტაკლში.

ამჟამად მოსკოვის ა. პუშკინის სახელობის დრამატული თეატრის სცენაზე წარმატებით მართავს გასტროლებს სოხუმის კონსტანტინე ბ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, რომელსაც რეჟიტურაში აქვს ა. კორნეიჩუკის ცნობილი პიესა „**ფრონტი**“. დადგმა ეკუთვნის თეატრის სახხატვრო ხელმძღვანელს ბ. ქავთარაძეს. სპექტაკლში ექსპერსიულად ვითარდება მოქმედება, ოგრძნობა ომის რიტმი და ცდა იმდროინდელ მოვლენათა თანამედროვეობის თვალთახედვით გაზრახისა.

საიუბილეო აფიშაზე გამოჩნდა მომქმე სოციალისტური რესპუბლიკების დრამატურგთა ნაწარმოებები — ლ. კრუჩკოსკის „**თავისუფლების პირველი დღე**“ და ი. ერკენის „**ტოტების ოჯახი**“. მეტეხის ახალგაზრდულ თეატრ-სტუდიაში ლ. კრუჩკოსკის აღნიშნული პიესა განსახორციელა დამდგმელმა ჯგუფმა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკიდან (რეჟისორი — ი. ჩერნეეცკი, მხატვარი — ა. ფრანტასი, ქორეოგრაფი — ლ. კაშიცკი). იგივე პიესა დაიდგა თბილისის ლენინგრი კომკავშირის სახელობის მზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრში ნ. ჯანდიერის რეჟისურით.

თბილისის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ცნობილი უნგრელი რეჟისორი ვ. ბაბარეი ინტენსიურად მუშაობს ი. ერკენის „ტოტების ოჯახზე“, რომლის პრემიერას ამ დეკადაზე წარუდგენს მაყურებელს.

პანტომიმის თეატრმა საიუბილეო თარიღს მიუძღვნა გ. გოგუას და ა. შალიკაშვილის „**უკვდავნი**“. დადგმა ა. გამოიჩეკა რეჟისორული ფანტაზიით, ვეფხვნებითა და ამაღლებული განწყობილებით.

მესხეთის დრამატულმა თეატრმა ორი წარმოდგენა განახორციელა საიუბილეოდ: მ. ჯაფარიძის „**ჩვენებურები**“ (დადგმა გ. მაცხოსაშვილისა) და კომპოზიცია „**არდაბურნება არ შეიძლება**“ (დადგმა ნ. დეიტერაშვილისა).

ბელორუსი დრამატურგის ს. მაკაიონოკის „**ტრიბუნალი**“ შეარჩია მახარაძის თეატრმა (რეჟისორი ვ. ჩიგოგიძე). სპექტაკლმა ყურადღება მიიპყრო ფსიქოლოგიური სიღრმით, სახასიათო სახეების ოსტატური დამუშავებით.

ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის თეატრმა ა. გეგაძიანის დადგმით წარმატებით განახორციელა ვ. ეფოვის „**ბულბულების ღამე**“.

ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრი თბილისელ მაყურებელს- წარმოუდგენს პრემიერას — ო. იოსელიანის პიესისა „**ადამიანი იბადება ერთხელ**“. დადგმა ეკუთვნის თეატრის მთავარ რეჟისორს ი. კაკულიას. ამ საიუბილეო თარიღს თეატრმა უფრო ადრე მიუძღვნა ი. კაკულიას კიდევ ერთი დადგმა — ა. გეფაძის „**წმინდანები ჯოჯოხეთში.**“

ასევე ორ დადგმას მიუძღვნის დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავს რუსთაველის სახელმწიფო დრამატული თეატრი. ამ დღეებში გაიმართება პრემიერა ს. სულაკაურის ნაწარმოების მიხედვით შექმნილი სპექტაკლისა „**ტალღები ნაპირისაკენ მისწრაფიან**“ (რეჟისორი დ. კობახიძე), ხოლო მოგვიანებით „**ურეკს**“ დადგამს თვით ავტორი ბ. ბესტავაშვილი.

ა. გეფაძის ახალ პიესაზე „**მე ქანდაკებად ვიქცევი**“ მუშაობს ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის თეატრის ქართული დასი, ხოლო ოსურმა დასმა უკვე წარუდგინა მაყურებელს ვ. გაგლოევის „**თქმულება დედაზე**“.

მონრაფ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა მოამზადა მ. ჯაფარიძის „**ჩვენებურები**“, რომლის დადგმა ეკუთვნის თეატრის მთავარ რეჟისორს შ. გაწერელიას.

გორის ს. ერისთავის სახელობის თეატრი მიუბრუნდა თავის სცენაზე უკვე გაზორციელებულ ბ. ბერძაძის პიესას „**მზე ნეიტრალის ტყეში**“, რომელსაც დადგამს რეჟისორი ვ. ფაჩულია.

დღეს, 20 აპრილს მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში საზეიმოდ გაიხსნება დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სპექტაკლების რესპუბლიკური დეკადა მარჯანიშვილელთა სპექტაკლით „**ადამიანი იბადება ერთხელ**“.

**ვ. ქიგუა.**

## პირველი აფხაზური ტელეფილმი

**სოხუმი.** (საკ. კორ.). აფხაზეთის ტელესტუდიაში უჩვენეს პირველი აფხაზური სატელევიზიო ფილმი „ეცაზო ცის ქვეშ“, რომელიც შექმნილია დ. გულიას ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით. იგი მოგვითხრობს აფხაზ ყმაწვილის ელქანის სვედან ბედს, რომელიც ბატონისაგან მოტყუებული შორეულ ციმბირში — გადასახლებაში ამთავრებს სიცოცხლეს.

სცენარის ავტორია მწერალი ვ. ახუბა, დადგმელი რეჟისორი — გ. მიქვაბია, ოპერატორები — რ. ჭაკაია, ა. დოროშენკო, ვიდეოჩანაწერების ინჟინრები — თ. ბუჩუბერია, დ. კორძაია.

ფილმში მონაწილეობენ ს. ჭანბას სახელობის აფხაზური სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობები — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი და აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტი ო. ლაგვილავა, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტი ა. ერმოლოვი, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტები ა. აგრბა და ს. ადუბა, აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტი ზ. ჭანბა.

ფილმის ჩვენების შემდეგ გამოვიდნენ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ცუგბა, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე შ. ფილია, მწერლები ნ. კვიწინია, ვ. ბებია, გ. გუბლია და სხვები.

ფილმის გადამღებ კოლექტივს გულთბილი სიტყვით მიმართა დ. გულიას ქალაქშიმა ტატიანა გულიამ.

**ყაბანი**

## სატურნირო ორბიტა

**ბოკეი.** პრაღაში გრძელდება შაიბიან ჰოკეიმი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებმ. ასპარეზობის მეორე ტურის მატჩები ასეთი შედეგებით აღინიშნა: სსრ კავშირი-ფინეთი — 5:1, კანადა-გფრ — 5:0, შვეიცია-აშშ — 3:4, ჩეხოსლოვაკია-გდრ — 6:1. ფრტურის შემდეგ სსრ კავშირის, კანადისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს 4-4 ქულა აქვთ, შვეიცისა და აშშ-ს კოლექტივებს — 2-2, გფრ-ის, ფინეთისა და გდრ-ის ჰოკეისტებს ჯერ-ჯერობით ქულები არ მოუმოკიათ.

**ფეხბურთი.** გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩები შესარჩევ ჯგუფებში. გთავაზობთ შედეგებს: **აზიის ზონა. პირველი ჯგუფი.** „ა“ **ქვეჯგუფი.** საოლის არაბეთი-არაბთა გაერთიანებული საემიროები — 0:0; „ბ“ **ქვეჯგუფი.** კატარი-იორდანია — 2:0, **მეორე ჯგუფი.** „ა“ **ქვეჯგუფი.** კუვეიტი-იემენის არაბთა რესპუბლიკა — 5:0, კუვეიტი-სირია — 0:0; „ბ“ **ქვეჯგუფი.** ბაბრეინ-იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა — 14:1 და 0:0. ბაბრეინელები აზიის ზონის მომდევნო ეტაპში ითამაშებენ; **მესამე ჯგუფი.** „ბ“ **ქვეჯგუფი.** ინდოეთი-ტაილანდი — 1:1, ინდოეთი-ბანგლადეში — 2:1. ამ ჯგუფდან მომდევნო ეტაპში ითამაშებენ ინდონეზიელები; **მეოთხე ჯგუფი.** „ა“ **ქვეჯგუფი.** ბრუნეი-მაკაო — 1:2. აქ 7 ქულით (8-დან) ლიდერობენ ჩინელები; **ჩრდილოეთისა და ცენტრალური ამერიკის, ბერეთვე კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების კონტინენტური ზონა.** ეს ზონა დაყოფილია სამ ჯგუფად. ერთ-ერთში გამარჯვებულია უკვე ბაბოდოსი. ესაა ჰონდურასის ნაკრები. ჯგუფში, სადაც ასპარეზობენ კანადა, გვატემალა და ჰაიტი, ერთი მატჩი გაიმართა: კანადა-ჰაიტი — 2:0.

**თანამედროვე ხუთი დ ი.** ერეკანში დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე. პირად ჩათვლაში სამი ვეფ საპრიზო ადგილი წილად ხვდათ სსრ კავშირის პირველი ნაკრების წევრებს. ეი ისინია: ა. ავდეევი — 5614 ქულა, ნ. კოროლოვი — 5533 და ვ. ლირეენკო — 5424. გუნდური გამარჯვებაც პირველი ნაკრების წევრებმა მოიპოვეს.

**საორტული ტანვარჯიში.** ალმა-ათაში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატზე სავალდებულო პროგრამის შესრულების შემდეგ ქალთა შორის დაწინაურებულ კიეველი ოქსანა ომელიანჩიკი (38,45 ქულა), ტაშკენტელი ირინე ბაროკასოვა (38,00) და როსტოველი ნატალია იურჩენკო (37,85).

**რედაქტორი**

**გ. ბედნიერიშვილი.**

## დიდი სამამულო ომის ფოტომატიანე

**ერთმა ნაცისტმა გენერალმა დაწერა წინი, რომელსაც „ყურადღება, ტანკები!“ უწოდა, ეს პრეტენზიული სათაური, ალბათ, იმდროინდელია, როცა „ვერმახტმა“ შეიარაღების განახლება დაიწყო და ძირითადი აქცენტი სატანკო ნაწილებზე გადაიტანა. ამბობენ, გერმანული ფოლადისა და არიული ხასიათის გამო „ვეფხვი“ თვით ფიურერმა უწოდო გერმანიის არმიის იმედს, ყველაზე სწრაფმავალ და გამძლე ტანკს.**

**1941 წლის 7 ნოემბერია. წითელი მოედანი, ტრადიციული სამხედრო პარადი... მოსკოვის დამცველთა სატარტო ადგილი. გავა კიდევ ცოტა ხანი და ეს ტანკები ციხლის ხაზზე გაიჭრება. წინ ბევრი საბრძოლო თავგადასავალია. სწორედ ამ ტანკებმა ბევრი დაიფრინეს „ვეფხვები“, სწორედ ამ ტანკებმა დაასმარეს მათი „უძლეველობის“ მითი.**

**სამამულო ომის არქივიდან ამოიღეთ ამ ფოტოს მხოლოდ ორი სიტყვა აწერია: „ნაიაშვილის ქვეგანაყოფი“, ამ მებრძოლის სახეზე კი ომის მთელი ჯაპანწყვეტა აღწერილი, მთელი წიგნი დაიწერება. იქნებ იღის კიდევ ვინმემ ამ კაციის ვინაობა და თავგადასავალი? ან ამ მრძოლის მონაწილეა ვინმე? ახლა სულ სხვა ფასი აქვს ამ ფოტომასალებს.**

## ჩვენი საქმე სამართლიანი იყო, ჩვენ გავიმარჯვებთ!

## რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში

**სამხრეთ ოსეთის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებათა ხორცშესასხმელად ჯავის რაიონში ფართოდ გაიშალა აღმშენებლობითი მუშაობა. ახლო მომავალში ლიახვის, ფაწის, ჯეკრის და ყვირილის თავლურმაცალი ხეობები გადაიქცევა შრომელთა გაჯანსაღების, დასვენების შესანიშნავ მხარედ. შემოშავებულია მათი განაშენიანების კომპლექსური გეგმა, წარმატებით მიმდინარეობს მშენებლობანი.**

## ბინები — მალარიელებს

**განსაკუთრებით** განვითარდა რაიონში ბინათმშენებლობა, თუ 1981 წელს ათეულობელი იყო მოოლდ 6 მილიონ 768 ათასი მანეთის კაპიტალდაბანდებანი, 1984 წელს ამ მაჩვენებელმა 15 მილიონ 615 ათას მანეთს ზეაღწია. სახეს იცვლის მაღაროელთა დაბა კვაისი. უკვე ნათლად გამოიხატება ქალაქის ტიპის დასახლების კონტურები. შარშან აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა შვიდი ხუთსართულიანი სახლი. 410 მაღაროელის ოჯახი დაკმაყოფილდა კეთილმოწყობილ ბინით. ბინათმშენებლობის ტემპი კვლავ სწრაფია. ახლა შენდება და წელს კვაისელები მიიღებენ 88 ბინას. ამავე დროს საგანგებო ყურადღება ექცევა დაბის კეთილმოწყობას. ეს ბინები ადგილობრივ ბანკებმა ადგეს ბინათმშენებლებს. ეს ბინები ადგილობრივ ბანკებმა ადგეს ბინათმშენებლებს.

**ჯავა**

**ბუნებრივი გაზი, სანატორიუმი, სასტუმრო**

**წარმატებით** მიმდინარეობს ბუნებრივი გაზსადენის — ცხინვალ-ჯავა-კვაისის მშენებლობა. წელს ჯაველები მიიღებენ ბუნებრივ გაზს.

რაიონულ ცენტრში მიმდინარეობს ახალი სასტუმროს მშენებლობა.

კურორტ „ძაუს“ არსებული სანატორიუმი ვეღარ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს. განზრახულია იგი გადაკეთდეს მშრომელთა გაჯანსაღების მძლავრ კერად